საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია მშენებლობაზე გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ

2024 იანვარი - ივნისი

30.07.2024
www.geostat.ge

30.07.2024

ინფორმაცია მშენებლობაზე[1] გაცემული ნებართვებისა და ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების შესახებ 2024 წლის იანვარი - ივნისი

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2024 წლის იანვარ-ივნისში გაცემულია 5 594 ნებართვა (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.6 პროცენტით მეტი) 5 393.5 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35.0 პროცენტით მეტი). ნებართვების 74.0 პროცენტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 47.9 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 9.7 პროცენტი - ქვემო ქართლის რეგიონზე, 8.3 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე და 8.1 პროცენტი - კახეთის რეგიონზე.

მშენებლობაზე გაცემული ნებართვების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2024 წლის იანვარი-ივნისი



აღსანიშნავია, რომ 2024 წლის იანვარ-ივნისში ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სავაჭრო ობიექტების, სასტუმროების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე.

[1] იგულისხმება როგორც ახალი მშენებლობა, აგრეთვე რეკონსტრუქცია

30.07.2024

2024 წლის იანვარ-ივნისში ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 1 600.7 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19.7 პროცენტით მეტი) 1 720 ობიექტი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17.4 პროცენტით მეტი).

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 4 რეგიონზე, კერძოდ, 37.0 პროცენტი მოდის ქ. თბილისზე, 13.1 პროცენტი - მცხეთა-მთიანეთის რეგიონზე, 12.6 პროცენტი - კახეთის რეგიონზე და 9.1 პროცენტი - იმერეთის რეგიონზე.

ექსპლუატაციაში მიღებული ობიექტების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით, 2024 წლის ივნისი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geosat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge